პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! | სამშაბათი, 6 იანვარი 1925 წ. | წლიწადი მეხუთე | ფასი 3 კაპ.

# წითელი მეომარი

№ 2 (690) 1 და 2 კ. მ. დ. პოლიტ-განების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ევანგულოვის ქუჩა — სავალე ელ. 16

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც' ნომპარელის სტრიქონზე. სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 სათამდე.

## თფილისის გარნიზონის მასწავლებელთა კონფერენციისათვის.

ოთხშაბათს გაიხსნება კავკასიის წითელ-დროშოვან არმიის თბილისის გარნიზონში მყოფ ნაწილების მასწავლებელთა კონფერენცია.

ცხადია კონფერენციაზე მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი დივიზიის მასწავლებლებიც.

მასწავლებლობის როლი ჩვენი წითელი ჯარის პოლიტიკურ-კულტურულ აღმზრდელობაში მეტად დიდი და საპასუხისმგებლოა.

წითელი-არმიის მასწავლებელი არა ნაკლებ დიდ საქმეს აკეთებს მშრომელთა მასების განათლების და გათვითცნობიერების საქმეში, ვინემ სოფლის ან ქალაქის მასწავლებელი.

ასწავლის რა წითელ-არმიელებს წერა-კითხვას, ასწავლის რა მას ყველა საჭირო ცნობებს საზოგადოებრივ ცხოვრების შესახებ, მით ის ხელს უწყობს, როგორც სამხედრო გაწვრთნის, ისე წითელ-არმიელის პოლიტიკურად მომზადების საქმეს და საერთოდ შეგნებული დისციპლინის განმტკიცებას წითელი ჯარის რიგებში.

მართლადაც როგორ შეიძლება წერა-კითხვის უცოდინარი, უვიცი წითელი-არმიელის სათანადოთ გაწვრთნა და პოლიტიკურად მომზადება.

და აი ახლად—მოსულის პირველი კულტურული დამუშავება, მასში ცოდნის და განათლების წყურვილის გაღვიძება, მასწავლებლის საქმეა და ამ მხრივ წარმატება სავსებით დამოკიდებულია მის მუყაითობისაგან და ენერგიისაგან. პირველ ხანებში ნაწილის მასწავლებელი კმაყოფილდება თავისი ვიწრო სპეციალური მუშაობით. ის ასწავლიდა წითელ-არმიელს წერა კითხვას, არითმეტიკას და გეოგრაფიას.

ყოველივე ამის გადაცემა ხდებოდა პოლიტიკურ განათლებასთან დაუკავშირებლად, განყენებულად.

მაგრამ ეს არ არის ნორმალური.

საჭიროა თვითეული გაკვეთილი, რომელიც გადაეცემა წითელ არმიელს მტკიცედ აგებული იქნას პოლიტიკაზე. ამ მხრივ დიდ როლს თამაშობს კომპლექსიური მეთოდი.

ერთი სიტყვით აუცილებელია წითელი ჯარის მასწავლებელმა უნდა ასწავლოს წითელ-არმიელს არა მარტო წერა—კითხვა, არამედ ყოველ მხრივ შეუწყოს ხელი მის კომუნისტურად აღზრდას.

საერთოდ და მთლიანად ეს ხაზი უკვე აღებულია ჯარის მასწავლებლების მიერ.

საჭიროა მისი გაღრმავება და მეტის ნაყოფიერობით გატარება.

ამ მხრივ დიდათ ხელს შეუწყობს ამ საქმეს მომავალი კონფერენცია.

## „ზინოვიევის წერილის“ გარშემო. ჩემბერლენის უკანასკნელი ნოტა რაკოვსკის მიმართ.

ინგლისის საგარეო მინისტრმა ჩემბერლენმა გადასცა რაკოვსკის შემდეგი ნოტა:

„მე მივიღე თქვენი ნოტა 22 დეკემბრის თარიღით, რომელშიაც თქვენ ეხებით ბატონ ზინოვიევის მიერ გაგზავნილ წერილს ინგლისის კომპარტიის სახელზე.

ინგლისის მთავრობას არაფერი შეუძლია დაუმატოს იმას, რაც ამის შესახებ უკვე სთქვა მან.“

ჩემბერლენი. 25 დეკ. 1924 წ.

## საუბარი ამხ. ჩიჩერინთან.

ინგლისის მთავრობასთან ნოტების გაცვლის შესახებ ამხ. ჩიჩერინმა როსტას თანამშრომელთან საუბარში განაცხადა: „საბჭოთა მთავრობამ წინადადება მისცა ინგლისის მთავრობას, რათა საქმე „ზინოვიევის წერილის“ შესახებ გარჩეულიყო სამედიატორო სასამართლოს წესით. მაგრამ ინგლისის მთავრობამ არ მიიღო ჩვენი წინადადება და წინააღმდეგ წავიდა საქმის გადაცემისა სამედიატორო სასამართლოზე.

ყოველივე ეს ამჟღავნებს ინგლისის მთავრობის სიყალბეს ამ საკითხში და ერთხელ კიდევ აშკარად ამტკიცებს, რომ არავითარი წერილი არ ყოფილა გაგზავნილი ზინოვიევის მიერ, არამედ ის იყო განგებ შეთხზული.“

## ბალკანეთის სახელმწიფოებში. კომუნისტების დაპატიმრება რუმინეთში.

რუმინეთში გრძელდება კომუნისტების დაპატიმრება. დააპატიმრეს ცეკას ყოფილი წევრები. 10 წლის ციხე მიუსაჯეს კომუნისტებს,—დობროჯიანუს, პაუკერსა და მის ცოლს.

## მაკედონიის აჯანყებულთა ბელადის მოკვლა.

მაკედონიის რევოლიუციონურ ორგანიზაციის წევრმა მოჰკლა მაკედ. აჯანყებულთა ბელადი, რომელიც ხელმძღვანელობდა ბულგარეთში შეჭრილ აჯანყებულებს.

## საბჭოთა კავშირის ნავთი უცხოეთის ბაზარზე.

ნავთის სინდიკატმა იტალიაში გაჰყიდა 120.000 ტონა მაზუთი, ინგლისში—200.000; აწარმოებს აგრეთვე მოლაპარაკება საფრანგეთის ფირმების მხრივ 100.000 ტონა მაზუთის დამზადების შესახებ.

## საფრანგეთის ელჩის მოსვლის წინ.

მოსკოვში ერთ კვირაში ჩამოვა საფრანგეთის ელჩი ჟან ერბეტტი.

## ჩვენი წარმომადგენელი ესტონეთში.

3 იანვარს მოსკოვიდან რეველში გაემგზავრა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ესტონეთში—პეტროვსკი.

## საბჭოთა კავშირის კონსულები.

საბჭოთა კავშირის კონსულად ასტრაბადში (სპარსეთი) დანიშნულია ხასლავსკი, დვინსკში (ლატვიაში)—ტრუდკოვსკი.

## მემამულეთა პოლონეთში
### სესხი ამერიკისაგან.

გრაბსკიმ ითათბირა ვარშავაში მყოფ ამერიკის ელჩთან პოლონეთზე 50 მილიონ დოლარის სესხის მიცემის შესახებ. საკითხი გადაიჭრება ამ დღეებში.

### შეტაკება პარტიზანებთან.

კამენეცკის მაზრაში დიდი შეტაკება მოხდა პარტიზანის რაზმსა და დამცველი რაზმის სანაპირო კორპუსს შორის. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ პოლიციამ ხელთ იგდო 9 პარტიზანი. დანარჩენები, 30 კაცამდე მიიმალნენ.

### გადაუდებელი საკითხი.

პოლონეთის სოციალისტური პარტიის წევრი ნედიალკოვსკი გაემგზავრა ბელგიაში, რათა მონაწილეობა მიიღოს სხდომებზე.

სხდომის დღის წესრიგში სდგას საკითხი კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

## წყალდიდობა ლენინგრადში.

2 იანვარს შუადღისას ბარომეტრი საგრძნობლად დაიწია. საღამოს 7 საათზე და 30 წუთზე მდინარე ნევა აიწია ხუთი ფუტით. შემდეგ წყალი თანდათან იზრდება. პეტრო-პავლოვსკის სიმაგრიდან ისმის ზარბაზნების ხმა.

საღამოს 9 საათზე ნევა გაიზარდა შვიდი ფუტით. წყალი გადმოვიდა ელაგინისა და კრესტოვის კუნძულზე. წყალი გადმოვიდა ვოლოდარსკის სახელობის ქარხანაში.

9 ნახ. საათზე შეწყდა ტრამვაის მოძრაობა პეტროგრადის მხარეზე.

10 წუთის შემდეგ ისმის განგაში სხვა და სხვა ქარხნებიდან. წყალი გადადის პუტილოვის ქარხანაში.

10 საათზე ფონტანკა გადმოვიდა ნაპირებზე.

10 ნახ. საათზე წყალმა დაჰვარა ლახტის ხიდი. პეტროგრადში გასკდა უბეყურეს ყინული და დაიძრა ლენინგრადისაკენ.

10 ნახ. საათიდან წყალმა თანდათან დაიწია.

## ფსკოვის საგუბერნიო პარტკონფერენცია.

დამთავრდა ფსკოვის საგუბერნიო პარტკონფერენცია. კონფერენციაზე მოვიდენ მილოცვებით აგრონომების, მიწის მზომელების, მასწავლებლების და ინჟინერების წარმომადგენლები.

## პუტილოვის ეკლესიის დახურვა.

პუტილოვის ქარხნების მუშებმა დაადგინეს დახურონ პუტილოვის ეკლესია. ეკლესიის შენობა გამოყენებულ იქნება საგანმანათლებლო საჭიროებისათვის.

## მუსოლინის „მტკიცე კურსი“.

რათა ბოლო მოუღოს გაზეთების მიერ საიდუმლოების გამომჟღავნებას, იტალიის მთავრობამ გადასწყვიტა აიღოს მტკიცე კურსი. ხურავენ ოპოზიციონურ გაზეთებს და ჩხრეკენ ხელმძღვანელებს. მთავრობამ აკრძალა საზოგადო კრებები.

გაზეთები აღნიშნავენ, რომ მუსოლინი გამოვიდა პარლამენტში სიტყვით ახალი კურსის შესახებ საშინაო პოლიტიკაში.

## ელჩთა კონფერენციის ნოტა.

3 იანვარს ბერლინში მყოფმა ანტანტის წარმომადგენლებმა მიიღეს ელჩთა კონფერენციის ნოტა, რომელიც ეხება კელნის ზონის ევაკუაციას.

## რუტ ფიშერის დაპატიმრება და გათავისუფლება.

ვენაში (ავსტრიაში) დააპატიმრეს ყალბი პასპორტით გერმანიის კომპარტიის ლიდერი რუტ ფიშერი. დააპატიმრეს აგრეთვე გერმანიის კომპარტიის წევრი ნეიმანი.

უკანასკნელი ცნობებიდან როგორც იუწყებიან, რუტ ფიშერი გათავისუფლებულია პატიმრობისაგან.

## მოითხოვენ ამნისტიას.

გერმანიის კომპარტიამ მოაწყო ჰამბურგში კრება. კრებაზე მიიღო მონაწილეობა 1.000 კაცმა. მიუზამი და ზაუდერი მოითხოვდენ პოლიტ პატიმრების გათავისუფლებას.

## წინასწარ განწირული. ახალი ინტერნაციონალი.

ამ დღეებში ბერლინში სწარმოებდა მოლაპარაკება ახალი ინტერნაციონალის დაარსების შესახებ. მოლაპარაკებაში მონაწილეობდე რული, ბალაბანოვა, შტეინბერგი, სპირო, დელანგრანჟე, პიეტრო ნონნი, თეოდა, ლიბკნეხტი, ლედებური, პოლონეთის ბუნდის პარტიის და ლატვიის დამოუკიდებელთა წარმომადგენლები.

მომავალი ინტერნაციონალის მიზნების და მისწრაფებების შესახებ ილაპარაკა ბალაბანოვამ (იტალიის მარქსისტების სახელით). საბჭოთა საწინააღმდეგო ხაზი გაატარეს შტეინბერგმა და სპირომ.

ნორვეგიისა და საფრანგეთის წარმომადგენლები აფრთხილებდენ, რათა ახალ ინტერნაციონალს არ მისცეს ანტი-ბოლშევიკური ხასიათი, ვინაიდან მუშათა მასები ვერ გაიგებენ ასეთ მიმართულების შინაარს.

# როგორ უნდა ვსცეთ პატივი ილიჩის ხსოვნას.

### რკპ ს ცეკას ცირკულიარი.

1925 წლის 21 იანვარს სრულდება პირველი წლის თავი ვლადიმერ ილიას ძე ლენინის გარდაცვალებიდან.

ამის გამო 18-დან 25 იანვრამდი წარმოებულ უნდა იქნას ფართე აგიტაცია როგორც პარტიის შიგნით, ისე მშრომელთა მასებს შორის.

ამ მუშაობას საფუძვლად უნდა დაედოს პარტიის უმთავრესი ამოცანები ღღევანდელ მომენტში: რკპ-ს რიგების შემჭიდროება ლენინიზმის დროშის ქვეშ, ბრძოლა ლენინიზმის ხაზის გამრუდების წინააღმდეგ პარტიაში. მრეწველობის გაძლიერება, შრომის ნაყოფიერების გაძლიერება, მუშათა კლასის კავშირის განმტკიცება გლეხობასთან, სოფლად პარტიის მუშაობის გაძლიერება და გაღრმავება.

ეს მზადება დაწყებულ უნდა იქნეს საკითხების გაღრმავებათა და დამუშავებით აგიტატორების კოლექტივებში, წრეებში, პარტსკოლებში, აგიტპროპორგანიზატორების თათბირებზე. რათა სათანადოდ იქნან მომზადებული ყველა ამხანაგები, რომლებმაც მონაწილეობა უნდა მიიღონ აღნიშნულ კამპანიის ჩატარებაში.

უჯრედებში ჩატარებულ უნდა იქნას ერთი-ორი ღია კრება ლენინიზმის მთავარ საკითხებზე; მუშათა და გლეხთა შორის მოწყობილ უნდა იქნას მასიური კრებები და ლენინის მოსაგონარი საღამოები; უნდა ჩატარდეს ლ. ახ. კომკავშირის წევრთა და კანდიდატების გადაყვანა პარტიაში, ხოლო პიონერების — ლ. ახ. კ. კ-ში.

აგრეთვე, სადაც შესაძლებელი იქნება გახსნილ უნდა იქნას კლუბები, ქოხ-სამკითხველოები, ბიბლიოთეკები, საბავშვო სახლები, სასადილოები, ლენინის კუთხეები, საწარმოო კუთხეები, სკოლების გამოშვება და სხვა.

დემონსტრაციების მოწყობა საჭირო არ არის.

ადგილებში წლის თავის ჩასატარებლად მუშკომებში და მაზკომებში უნდა შეიქმნან სპეციალური კომისიები პარტორგანიზაციების პასუხისმგებელ წარმომადგენელთა ხელმძღვანელობით.

რ. კ. პ. ცეკას მდივანი მოლოტოვი.

---

# ამინდი საბჭოთა კავშირში.

უკანასკნელი ცნობების თანახმად საბჭოთა კავშირის სამხრეთ-აღმოსავლეთისა და ჩრდილო-აღმოსავლეთის ოლქებში ტემპერატურა უდრის 10—18 გრადუსს.

ცენტრში, სამხრეთში და სამხრეთ-დასავლეთში 5—15 გრადუსამდე.

დასავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით ტემპერატურა ნოლზე სდგას.

დასავლეთში და ცენტრში მოსალოდნელია სითბოს გამობრუნება.

---

# არ მიიწვიეს.

რუმინეთის მთავრობამ, სამხრეთ-სლავიისა და პორტუგალიის მთავრობასთან ერთად პროტესტი განაცხადა იმის გამო, რომ ისინი არ მიიწვია მოკავშირეებმა პარიზში საკავშირო ფინანსთა მინისტრების კონფერენციაზე.

---

# რუმინეთის პრესა ცანკოვის გამგზავრების შესახებ ბუქარესტში.

დიპლომატიურ წრეებთან ახლოს მდგომი გაზ. „ლუპტა“ აცხადებს, რომ რუმინეთი მზად არის შეჰკრას კავშირი ბულგარეთთან ბოლშევიკურ საფრთხის წინააღმდეგ; მაგრამ მას სურს თავი შეიკავოს კავშირიდან საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ, რათა თავიდან აიცილოს პროვოკაცია საბჭოთა კავშირის შინაურ საქმეში ჩარევის შესახებ.

გლეხთა პარტიის გაზეთი „ავროსა“ სასტიკად აკრიტიკებს ბრატიანუსა და ცანკოვის მთავრობას და ბრალს სდებს მათ ახალი „სადვთო“ კავშირის შექმნის განზრახვაში.

---

# პანების სიცრუე.

პოლონეთის გაზეთებმა გაავრცელეს ყალბი ხმები, რომ ლატვიის სეიმის თავმჯდომარე — ვესმანი გაემგზავრა პოლონეთში, რათა მოლაპარაკებოდა პოლონეთის პრეზიდენტს ანტიბოლშევიკური ფრონტის შექმნის შესახებ. ვესმანმა ამის შესახებ განაცხადა, რომ პოლონეთის გაზეთების ცნობები სიმართლეს მოკლებულია. ვესმანის სიტყვით, მას არავითარი პოლიტიკური მოლაპარაკება არ უწარმოებია პოლონელებთან.

---

# რადიჩის პარტიის დაშლა.

დააპატიმრეს რადიჩის პარტიის (გლეხთა პარტია) პრეზიდიუმის ყველა წევრები, მათ შორის ვიცე-თავმჯდომარე მაცეკიც, რომელიც სარგებლობდა დეპუტატის შეუვალობით.

რადიჩი სად არის არ იციან.

მთავრობას განზრახული აქვს ხელი შეუშალოს რადიჩის პარტიის საარჩევნო სიის შედგენაში.

---

# „პრინციპიალური“ ცნობა.

გავასის სააგენტოს ცნობით პორტუგალიის მინისტრთა საბჭოს განზრახული აქვს „პრინციპიალურად“ იცნოს საბჭოთა კავშირი იურიდიულად.

---

# ციტატის მოყვანისთვის ლენინის ნაწერებიდან.

ჩეხიის კომპარტიის ცეკას მდივანს ზაპოტეცკის მიუსაჯეს 9 თვის ციხე. ის მიცემულ იქნა სამართალში ლენინის ნაწერებიდან ციტატის (ადგილის) მოყვანისთვის ომის საწინააღმდეგო მანიფესტაციის დროს.

---

# რაკოვსკის ნოტა ჩემბერლენს.

რაკოვსკიმ გადასცა ჩემბერლენს შემდეგი საპასუხო ნოტა, რომელშიაც ნათქვამია: „ჩემი მთავრობის სახელით გადმოგცემთ, რომ ვინაიდან დიდ ბრიტანეთის მთავრობამ უარყო საბჭოთა მთავრობის წინადადება გარკვეულ ყოფილიყო „ზინოვიევის წერილის“ წარმოშობის საქმე სამედიატორო სამართლის წესით, ჩემი მთავრობა სთვლის შეუძლებლად წერილის სინამდვილის დამტკიცებას.

საბჭოთა მთავრობა ამ საქმის შესახებ მიმოწერას სთვლის დამთავრებულად“.

---

# მუშაობის მიღწევები და მომავალი ელექტროფიკაციაში.

როსტას თანამშრომელთან საუბარში პროფესორი გორევი შეეხო ვოლხოვსტროიზე (უდიდესი ელსადგური ლენინგრადში) მუშაობას და განაცხადა:

„1926 წლის დასაწყისში სადგური გაიხსნება, მუშაობის 70 პროც. დამთავრებულია. სადგურის მუშაობა ერთბაშად დააყენებს ფეხზე ლენინგრადის მრეწველობასა და უზრუნველყოფს მის განვითარებასა და აყვავებას. სამრეწველო ნაწარმოების ფასები საგრძნობლად დაიწევს.

---

# სამხედრო საქმე

## შეისწავლეთ შენიღბვა.

თუ დღემდის შენიღბვას სათანადო ყურადღება არ ქონდა მიქცეული, დღეს მას საპატიო ადგილი უჭირავს სამხედრო ხელოვნებაში, რადგან მას მნიშვნელოვანი როლი აქვს ბრძოლის დროს.

მდგომარეობის ცოდნა საშვალებას აძლევს მოპირდაპირეს იბრძოლოს იქ, სადაც ეს მისთვის მოხერხებულია და მაშინ, როდესაც ეს ხელსაყრელია.

ამისათვის ყოველი ღონისძიებაა საჭირო, რომ მოპირდაპირეს წაერთვას ძიების საშვალებანი.

ეს შესაძლებელია მაშინ, როდესაც ჩვენ შევძლებთ სათვალთვალო საგნების, საბრძოლო ელემენტებისა და ჩვენ განზრახვების დაფარვას ან კიდევ ჩვენ მხარეზე სხვა და სხვა ხერხით შევძლებთ მოწინააღმდეგეს მივსცეთ ბრუნდი წარმოდგენა ჩვენი მდგომარეობის შესახებ, რაც მოპირდაპირეს შეცდომაში შეიყვანს.

ომი ყოველთვის და ყოველგან მოითხოვდა ადამიანისაგან მაქსიმუმს შემოქმედებისას და საშვალებების გამოძებნას გამარჯვების მისახწევათ.

სხვა მრავალ საშვალებათა შორის ფსიხოლოგიურ, იდეიურ ზეგავლენას საპატიო ადგილი უჭირავს, როგორც მაგალითად შეცდომაში შეყვანას, დარწმუნებას და სხვას.

ყველა ეს შეადგენს შენიღბვის საგანს. ის რაც შეცდომაში შეიყვანს მოპირდაპირეს მანევრი იქნება ის თუ ცრუ ფორტიფიკაციური ნაშენება ეწოდება შენიღბვა.

შენიღბვა არ არის განცალკევებული ცნება სამხედრო ხელოვნებაში. ის მჭიდროთ არის დაკავშირებული ტაქტიკასთან.

ის ყოველთვის და ყოველგან შეთანხმებული უნდა იყოს ტაქტიკურ ამოცანასთან.

ის ყოველთვის ტაქტიკურ ამოცანიდან უნდა გამომდინარეობდეს.

მართლაც წარმოუდგენელია მებრძოლმა შეტევის დროს სანგრებში შეენიღბოს არ შეუტიოს და თავი იმართლოს, რომ ის შენიღბულია.

მხოლოდ დაფარვისათვის შენიღბვა საკმარისი არ არის. ჩვენ გვინდა მტრის მთავარი ყურადღება მივაქციოთ ჩვენთვის ხელსაყრელ მიმართულებას, ამისათვის ჩვენ ვქმნით ისეთ მდგომარეობას, რომ მტერი შეცდომაში შეგვყავს და ამით ვიცდენთ თავიდან მტრის ძალას. ეს იქნება აქტიობა.

შენიღბვა უნდა იყოს ბუნებრივი. ესეიგი უნდა შეეფარდებოდეს ადგილობრივ ბუნებას.

მართლადაც სისულელე იქნება, რომ ქვიშიან ადგილზე, სადაც მცენარე სრულებით არ მოიპოვება, მებრძოლებმა ხის ფოთლებით შენიღბონ.

მტერს რომ გაუძნელდეს ჩვენი შენიღბვის საიდუმლოების ხილვა ის სხვა და სხვა ადგილას სხვა და სხვა დროს უნდა ხდებოდეს. ესე იგი შესრულების მხრივ უნდა იყოს სხვა და სხვა გვარი. მაგალითად არ შეიძლება, რომ ბატარეია ყოველ პირობებში ერთნაირათ შეახამოთ.

შენიღბვა უნდა სწარმოებდეს განუწყვეტლივ. შენიღბვის შეწყვეტა მოპირდაპირეს საშვალებას მისცემს ის ამხილოს, რასაც მოყვება შენიღბვის გაბათილება. ჯარის ნაწილები იქნება ის თუ სხვა საბრძოლო ელემენტი, რა მდგომარეობაში არ უნდა იყოს, ის უნდა შენიღბვას აწარმოებდეს მუდმივათ.

ამ რიგათ შენიღბვა უნდა იყოს: 1. ტაქტიკურ ამოცანასთან შეთანხმებული, 2. აქტიური, 3. ბუნებრივი, 4.ასრულების მხრივ სხვა და სხვა გვარი და 5. მუდმივი.

შენიღბვა არარაობას წარმოადგენს თუ კი რომ ჯარის მიერ არ არის დაცული შენიღბვის დისციპლინა. შენიღბვა გამოიხატება იმაში, რომ ჯარმა თავის უადგილო მოქმედებით არ უნდა ამხილოს შენიღბვის შინაარსი. როგორც მაგალითად დაუშვებელია შენიღბულ ბატარეიასთან ადამიანთა თავის შეყრა შეუნიღბველათ. ან კიდევ სადარაჯოებზე ღამით დაუფარავათ თამბაქოს წევა და სხვა.

მანგანიძე.

---

# ქ. მ. დივიზიის მეოთხე პარტკონფერენციის შედეგები.

(დასასრული)

კონფერენციის დღის წესრიგში მეოთხე საკითხად იყო წითელ ჯარში პარტ-მუშაობის მორიგი ამოცანები და ახალგაზრდა კ. კავშირში მუშაობა.

ამ საკითხების გარშემო კონფერენცია აქ გაჩერდა დაწვრილებით და მიიღო სათანადო დადგენილებანი.

პარტია და კომკავშირი ის ხერხემალია, რომელმაც შეანგრია ბურჟუაზიის ჩინური კედლების ციხე-სიმაგრე და საფუძველი ჩაუყარა პროლეტარიატის დიქტატურას მუშურგლეხური ხელისუფლების სახით.

ცხადია, კონფერენციის მიერ ამ საკითხს მიექცეოდა უდიდესი ყურადღება.

მით უმეტეს დღეს, როდესაც ჩვენი წითელი ლაშქრის რიგები ახალწვეულებით არის შევსებული. ის მოითხოვს გაათკეცებულ შრომას და ენერგიას.

თუ ეს ასე არ დარჩა ცხადია, ჩვენი მუშაობა ვერ მიაღწევს სასურველ შედეგებს.

ჩვენი პარტ-უჯრედების ორგანიზაციული ფორმა დიდი ხნიდან გამორკვეულია, მაგრამ ბევრ ადგილზე ეს ამხანაგებს ვერ გაუგია და ხშირათ უპარტიო მასების კრებას ეძახიან პარტიულს და წინააღმდეგ; ან ხდება სულ ღია უჯრედების სხდომები, ან სულ დახურული.

ისეთი შთაბეჭდილებაა თითქოს, პარტია ან იყოს სრულებით განშორებული მასას ან მაში გათქვეფილი. იმ შემთხვევაში რომ ეს ასე იყოს ჩვენ ვერ შევძლებდით გაგვეკეთებია ის დიდი საქმე, რომელსაც დღეს მთელი მსოფლიო უმზადებს „ოქტომბრის დიდ რევოლიუციას“.

ასეთივე მდგომარეობა იყო ზოგიერთ ნაწილებში კომკავშირშიაც. ამ გაუგებრობას კონფერენციამ გაუწია ანგარიში და მისცა სათანადო დირექტივები ჩვენს პარტიულ ორგანიზაციებს მათი საბოლოოდ თავიდან აცილებლად.

მფარველობა კავშირის დაჭერაში სამოქალაქო ორგანოებთან, რომ წითელი ჯარის ცხოვრებით დაინტერესდეს მუშურგლეხური მასები და წითელი ჯარიც იყოს გაცნობილი ჩვენი პარტიის და სახელმწიფო ორგანოების მუშაობას.

ამ მხრითაც კონფერენციამ მოგვცა სათანადო დირექტივები.

პარტკომისიის მოხსენება, დღის წესრიგის მე-5-თე საკითხად ისვა, რომლითაც კონფერენციამ დაასრულა თავისი მუშაობა.

უნდა აღინიშნოს რომ ბევრ საჭირ-ბოროტო საკითხებს გასცა კონფერენციამ პასუხი; ბევრ უმაღლეს ორგანოების გადაწყვეტილებას ის მიუდგა პრაქტიკული და საქმიანი მხრით და შეგვიძლია თამამათ ვსთქვათ, რომ მისი მუშაობა დამთავრდა სრული ნაყოფიერობით.

მაგრამ, მარტო ეს არ არის საკმარისი. კონფერენციის მუშაობა მრავალფეროვანი და ნაყოფიერი იყო, მაგრამ ის არ არის საკმარისი, ეს საკითხის ერთი მხარეა.

ერთი იყო კონფერენციის მსჯელობა, გადაწყვეტილების გამოტანა, მაგრამ მეორეა მისი სწორი გაგება და ცხოვრებაში გატარება.

ამას ჩვენმა ამხანაგებმა უნდა მიაქციონ სათანადო ყურადღება და მაშინ ჩვენ შევძლებთ სრული დაიმედებული ვსთქვათ, რომ ჩვენ წითელ არმიას არ მოვაკლებთ იმ მზრუნველობას, რომელიც საჭიროა მისი პოლიტიკურად და სამხედრო აღზრდის საქმეში.

ვ. სიხარულიძე.




# ამხ. ლევქთაძე 1 ლეგიონის საპატიო წითელ არმიელია.

28 დეკემბერს შესდგა 1-ლი ქ. მ. ლეგიონის წითელ არმიელთა და მეთაურ-პოლიტ-შემადგენლობის საერთო კრება

თავმჯდომარემ ამხ. შავდიამ გააცნო კრებას დღის წესრიგი და მოუწოდა საქმიანი მუშაობისაკენ.

გასარჩევი იყო შემდეგი საკითხები:

ს. ლევქთაძის საპატიო წითელ არმიელათ არჩევა.

სროლაში შეჯიბრების დროს გამარჯვებულთათვის ჯილდოების დარიგება და მიმდინარე საკითხები.

პირველი საკითხის შესახებ სიტყვით გამოვიდა ამავე ლეგიონის სამხკომი ამხ. გ. ბააზია, რომელიც შეეხო საქართველოს წითელი ლაშქრის ჩამოყალიბების ისტორიას და ზოგიერთ უფროს ამხანაგების ღვაწლს ამ საქმეში.

ამხ. განსაკუთრებით შეეხო პირველ დივიზიის ყოფილ უფროსს ამხ. ლევქთაძეს, რომელიც იმ თავიდანვე სათავეში მოექცა ქართული წითელი ჯარის განმტკიცების საქმეს.

ამხ. ლევქთაძე დიდ ერთგულებას იჩენდა ყველა ანტისაბჭოთა ორგანიზაციების წინააღმდეგ ბრძოლაში და მან რამოდენიმეჯერ დაუმტკიცა საბჭოთა ხელისუფლებას თავისი ერთგულება და საქმიანი მუშაობა.

შემოტანილი იქნა წინადადება რათა ამხ. ს. ლევქთაძე არჩეულ ყოფილიყო 1-ლი ლეგ. საპატიო წითელ არმიელათ, რაც მიღებული იქნა ერთხმად.

მეორე საკითხის შესახებ მოკლე სიტყვით გამოვიდა ამხ. შავდია, რომელიც შეეხო იმას თუ როგორ უნდა მოუაროს მილაშქრემ იარაღს და როგორ უნდა შეისწავლოს ის შემდეგ ამხ. აცნობს კრებას სროლაში შეჯიბრების შედეგს და ასახელებს შეჯიბრში გამარჯვებულ ამხანაგებს. კრება ტაშის ცემით შეეგება მათ დასაჩუქრებას.

ს. იმნაიშვილი.

# დაუდევრობა თუ მომჭირნეობა?

1-ლ ლეგიონში არავითარ ზომებს არ ღებულობენ იმის შესახებ, რომ წითელ არმიელები დაიფარონ სიცივისაგან. ჯერ იყო და არ გვქონდა ღუმელები. შემდეგ როგორც იქნა მოგვცეს მხოლოთ ისე, რომ ჯაკვამლე მილები არ გამოატანეს.

მოვაწყვეთ მოცემული ჩვენს კარებოკედლის ღუმელებთან, მაგრამ შეშა არ გვეშოვება. მოგვცემენ სამ ღერ შეშას და ვეუბნებიან, როგორც გინდათ ყოფინეთო. ყაზარმებს ვერ ათბობთ რის გამოც წითელ არმიელები დაცივდენ და დაავადმყოფდენ, ხმა ჩახლეჩილი და ყელ შეხვეული დადიან ნახევარზე მეტი.

სამნეო ნაწილის უფროსი ამას ვერ ხედავს და ზანკარგულებას იძლევა ასეულზე სამი ღერი შეშის მეტი არ გასცენ, მაშინ, როდესაც საწყობში შეშა ბლომად აწყვია.

მე არ ვიცი, რით ხელმძღვანელობს სამნეო ნაწილის უფროსი, რომ ასეთ მომჭირნეობას იჩენს შეშის გაცემის დროს?

წითელ არმიელების ჯანმრთელობას უფრო უნდა გაუფრთხილდეთ, ვიდრე შეშის შემონახვას.

გაყინულ ყაზარმაში წითელ არმიელებს სიცივისაგან აძაგძაგებს. მოგვაქციეთ ყურადღება, მოგვეცით შეშა.

სამხკორი შ. გამყრელიძე.

# გაგვითბეთ ყაზარმები.

1-ლ საარტილერიო ლეგიონის მე-3-მე ბატარეის ამ ჟამად არ მოეპოება არც ღუმელი და არც შეშა. საერთოდ ასეთ მოვლენას აქვს ადგილი მთელს ლეგიონში. სიცივეები მეტის ძლიერად მოქმედებენ წ. არმიელებზე და ხელს გვიშლის მუშაობის წარმოებაში.

როდესაც წითელ არმიელები და აგრეთ ვეუფშემადგენლობა ბრუნდება მეცადინეობიდან მათ ხვდებათ ცივი ყაზარმები, რაც არც ისე სასიამოვნოა. ასეთი პირობები საგრძნობლად აფერხებს მეცადინეობას. ლეგიონის მნე, მიაქციეთ ამ მოვლენას ჯეროვანი ყურადღება და მოგვაწოდეთ შეშა, დაგვიდგით ღუმელები.

სამხკორი ლოლა.

# დავაარსეთ საბიბლიოთეკო წრე.

პირველ ლეგიონში დავარსეთ საბიბლიოთეკო წრე, რომელშიდაც ჩაეწერენ ყველა ასეულის ბიბგამგეები და აგრეთვე დაინტერესებული წ. არმიელები.

მეცადინეობა უკვე დაიწყო. 27 დეკემბერს ლეგიონის ბიბლიოთეკაში ჩატარდა პირველი მეცადინეობა. დაესწრენ წრის ყველა წევრები.

მოსმენილი იქნა ამხ. შავეულიძის მოხსენება წრის დანიშნულების შესახებ. აგრეთვე გავეცანით წრის პროგრამას და საუბარს სარეკომენდაციო სიაზე, პლაკატებზე ლოზუნგებზე და ბიბლიოთეკის გარეგან მორთვის მნიშვნელობაზე. წრის წევრები დიდი ყურადღებით შეხვდა საუბარს და კმაყოფილიც დარჩა.

მეცადინეობა იწარმოებს კვირაში ერთხელ, ოთხშაბათობით.

მ. უფლისაშვილი.

# ბიბლიოთეკამ რა დააშავა?

მეექვსე ტერ-ლეგიონს აქვს საკუთარი ბიბლიოთეკა, რომელიც შეძლების დაგვარად ასრულებს თავის დანიშნულებას.

ბიბლიოთეკა-სამკითხველოს მრავალი მკითხველები ყავს ლეგიონის შემადგენლობიდან, მაგრამ ამ უკანასკნელ ხანებში ძლიერ გასჭირდა საქმე. ბიბლიოთეკას არ აძლევენ საჭირო შეშას, ურომლისოდაც ყოვლად შეუძლებელია ამ სიცივეში იქ გაჩერება. მკითხველებიც დაფრთხენ და აღარ დაიარებიან. ბიბლიოთეკაში არის უზარ-მაზარი კედლის ღუმელი. სამნეო ნაწილის უფროსი კი გვაძლევს დღეში ორ ღერ შეშას, რომელიც ოდნავადაც კი ვერ ათბობს მას.

არა ერთხელ მოვსთხოვეთ, ჩვენს მნეს, რომ მოეცა ოთახში დასადგომი ღუმელი, მაგრამ არ გვაქცევს ყურადღებას.

—ჩვენ არა გვაქვს ღუმელი და ვერც მოგცემთო.

ასე უყურადღებობა შეუძლებელია. ან მოგვიმატეთ იმდენი შეშა, რომ შეიძლებოდეს კედლის ღუმელის გახურება და ან მოგვეცით ოთახში დასადგმელი ღუმელი.

წინააღმდეგ შემთხვევაში—სამკითხველოში შეუძლებელია მუშაობაც კი.

ფინთიხი.

# კულტურული მუშაობა საარტილერიო ლეგიონში.

საარტილერიო ლეგიონში კულტურული მუშაობა კარგათ მიმდინარეობს. პოლიტ-საათი ყოველ-დღე ტარდება. წითელ არმიელებში დიდ ინტერესს იწვევს მრავალი საკითხები და თითეული მათგანის გაშუქებაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ. ხშირად ეწყობა ლიტერატურული წრის მიერ სხვა და სხვა გასამართლებები. ორი კვირის წინათ გაასამართლეს ეგ. ნინოშვილის მოთხრობის „უცნაური სენის" გმირები. წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლაში ამ ჟამად მეცადინეობს 7 ჯგუფი. ბევრმა უცოდინარმა უკვე შეისწავლა წერა-კითხვა და აწარმოებენ მიწერ-მოწერას სოფელთან. კედლის გაზეთი „პანორამა" სისტემატიურათ გამოდის. ამ დღეებში გამოვა სურათებიანი ჟურნალი „არტილერისტის ხმა". აღსანიშნავია, რომ წითელ არმიელები და მეთაურ-პოლიტშემადგენლობა დიდ დახმარებას უწევს სარედაქციო კოლეგიას ამ რთულ მუშაობაში და ამიტომ გამომცემლობის საქმე კარგად არის დაყენებული.

მასწავლებელი კ. ნიჟარაძე.

# უყურადღებობა თუ მომჭირნეობა?

### პირველი ლეგ. მნეს საყურადღებოთ.

„სახაზინო ქონებას მოვლა უნდა, გახსოვდეთ, რომ თქვენ რომ ტანსაცმელი და სხვა გირიგდებათ მშრომელი ხალხის კაპეიკებით არის შეძენილი, გაუფრთხილდი მას, ხშირად გაწმინდე, გაასუფთავე და მოუარეო—აი რას გვეუბნებიან ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე ჩვენი უფროსები.

ეს კარგად გვაქვს შეგნებული და კიდევაც უფრთხილდებით ამ სახაზინო ქონებას, მაგრამ ხშირად თვით ეს უფროსები ვერ გვიწყობენ ხელს ამ წესის დაცვაში.

აი მაგალითიც: ფეხსაცმელები თუ ხშირად არ გასუფთავდა და გაიქონა (ვაიმაზა) შეუძლებელია დიდხანს გემსახუროს კაცს. ჩვენი სამნეო ნაწილის უფროსი კი დღემდე არ აქცევს ყურადღებას ამ გარემოებას. ლეგიონის სანივთე საწყობში თუარება ფეხსაცმელების „მაზებია" კოლოფებით, მაგრამ დღემდე არ დაურიგებია წითელ არმიელებისათვის. რას მივაწეროთ ასეთი საქციელი? მომჭირნეობაა ეს თუ უბრალო უყურადღებობა. საჭიროა ფეხსაცმელების მაზი მოხმარებული იქნეს დანიშნულებისამებრ.

სამხკორი. დუჩბინდი.

### შეშას თავის დროზე ვერ ვღებულობთ.

პირველ-ლეგიონში შეშა მებინადრის განკარგულებაშია. როდესაც მივდივართ შეშის მისაღებათ წითელი მოლაშქრეები, მებინადრე ხშირად უარით გვისტუმრებს, ამას გარდა ხშირია ისეთი მოვლენაც, რომ უშვერი სიტყვებით დაგვიწყებს ყვირილს და გვერეკება უკან. არ ვიცით რა დაგვიშავებია მისთვის. საჭიროა ლეგიონის მნემ ყურადღება მიაქციოს ამ მოვლენას და გვიხსნას ასეთი მებინადრისაგან. ამას გარდა ის სამსახურსაც არ ასრულებს წესიერად. იშვიათად თუ ნახავთ მას საწყობში. გასაღებს უტოვებს თავის თანამშრომელ კაკაურიძეს, მაგრამ ეს ამხანაგიც ხშირად დაბრძანდება სასეირნოთ და საწყობში აღარავინ არ რჩება.

ვიმედოვნებთ ჩვენი მნე მიიღებს საჭირო ზომებს და ალაგმავს ამ ვაჟბატონებს.

ყოველ შემთხვევაში შეშა მაინც მოგვაწოდონ და ჩუ გვისტუმრებენ ცარიელს.

წ. არმ. ს. ვანელი.

### რად გვიანდება პურის დარიგება?

პირველ საარტილერიო ლეგიონში 28 დეკემბერს ადგილი ჰქონდა შემდეგ მოვლენას: საღამოს, როდესაც დაურიგეს არმიელებს ვახშამი, პური არ აღმოჩნდა სამყოფი. გვეგონა მეორე დღეს აღარ განმეორდებოდა ეს მოვლენა მაგრამ შევცდით, 29 დეკემბერსაც მესამე ბატარეის წითელ-არმიელებს სრულიად არ მიუღიათ პური. საჭიროა დროზე მოეღოს ბოლო ამ დაუდევრობას თუ გაუგებრობას.

შეუძლებელია მშიერ წითელ არმიელმა გულდასმით იმეცადინოს.

მშვიდობიანურ დროს ადგილი არ უნდა ქონდეს ასეთ მოვლენებს. იმედია შემდეგისათვის მაინც არ ექნება ადგილი ასეთ მოვლენას ლეგიონში.

სამხკორი ლოლა.

# პარტიული ცხოვრება

## მეტი ყურადღება სოფელს.

პირველ საკავშირო ასეულში 3 იანვარს შესდგა კომუჯრედის ღია კრება. რომელსაც დაესწრო ასეულის მთელი შემადგენლობა.

სხვა მრავალ საკითხებთა შორის კრებამ მოისმინა ამხ. ნუცუბიძის მოხსენება სოფლად მუშაობის შესახებ. ამხ. დაწვრილებით გააცნო კრებას სოფლის პარტიულ უჯრედების მდგომარეობა და მათი მუშაობის მიმდინარეობა.

— ჩვენი უჯრედები აქამდე ძლიერ მოისუსტებდენ სოფლებში. მუშაობა ვერ ქონდათ კარგად დაყენებული. ნაკლებ ყურადღებას აქცევდენ სოფლის ღარიბეს გლეხობას.

ამ ჟამად სოფლის მუშაობის გამოცოცხლებისათვის დიდი ამოცანები სდგას ჩვენს წინაშე.

პირველად ყოვლისა საჭიროა სოფლის ღარიბეს გლეხობის ჩაბმა პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციების მუშაობაში, გლეხკომებში და სხვა.

ამხანაგის მოხსენების შემდეგ გამოტანილი იქნა რეზოლიუცია, სადაც აღნიშნულია, რომ მთელი ძალ-ღონე იქნას მიმართული სოფლად მუშაობის გაძლიერებისაკენ.

შემდეგ კრება გაეცნო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცეკადან მიღებულ ცირკულიარებს, რომლებიც მიღებული იქნა ცნობად და სახელმძღვანელოდ.

ბოლოს კრებამ მოისმინა ზოგიერთ ამხანაგების განცხადებები პარტიაში მიღების შესახებ. კრებამ დაადგინა აღძრას სათანადო შუამდგომლობა დივიზიის პარტკომისიის წინაშე ამხანაგების მიღების შესახებ პარტიის კანდიდატებათ.

ამხ. ალხაზაშვილმა განუმარტა კრებას თუ რა მნიშვნელობა ექნება მოუმზადებელი ამხანაგების ინდივიდუალურ სიმაგრეებს მომზადებულ ამხანაგებზე.

კრებამ დაადგინა გადაეცეს ამ საქმის მოგვარება კომუჯრედს.

სამხკორი შალაშინი.

# ამბები სოფლებიდან.

### ხე-ტყე ღარიბ მცხოვრებთათვის.

ლეჩხუმ.სალმასკომმა დაადგინა შუამდგომლობა აღძრას მიწ.-მოქ'ედ. სატყეო განყოფილების წინაშე ნება დართოს გადასცენ უფასოთ ღარიბეს გლეხებს ხე-ტყის მასალა.

### მევინეობის კურსები.

ამ დღეებში მუხრანში (დუშ. მაზრა) გაიხსნება მევინეობის კურსები.

### მანქანის შეძენა.

სენაკის აღმასკომმა დაავალა ადგილობრივ მეურნეობის განყოფილებას შეიძინოს დიზელის მანქანა ადგილობრივი ელსადგურის საჭიროებისათვის.

### გზების გაყვანა ოსეთში.

სამხრეთ ოსეთის ცაკას გადაწყვეტილებით მიმდინარე 1925 წლის განმავლობაში სამხრეთ ოსეთში გაყვანილ იქნება ცხინვალი—როკას გზატკეცილი და კუდარა—ჯავას შარა გზა.

### სამეურნეო იარაღის შესაძენათ.

სოც. უზრუნველყოფის კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა სასოფლო-სამეურნეო ბანკის წინაშე მისცეს სესხი სოფ. საზუეს გლეხკომს სასოფლო-სამეურნეო იარაღების შესაძენათ.

### სკოლის საჭიროებისათვის.

ლეჩხუმის სამაზრო აღმასკომა მიადასდო 200 მანეთი სოფ. მექვენის სკოლის საჭიროებისათვის.

### გლეხთა კომუნები.

სურამის სარაიონო გლეხკომმა გადასწყვიტა ჩაატაროს სათანადო კომპანია გლეხთა კომუნების მოსაწყობათ.

**ხიდი მდინ. აბაშაზე.**

სენაკის აღმასკომმა გადას დო დამატებით 600 მანეთი მდინ. აბაშაზე ხიდის დასამთავრებლათ.

**მეფუტკრეობა.**

დუშეთში გახსნილი სამკვირეული მეფუტკრეობის კურსები დაამთავრა 48 კაცმა.

# ახალი ამბები.

— **სამხ. კოოპერაციის გაძლიერება.** ქუთაისის აღმასკომმა გადასცა კ. წ. დ. არმიის კოოპერატივს კიდევ ერთი დარაბა მაღაზიის გასაფართოებლათ.

— **ქარხნების აღდგენა.** წარმოკავშირმა გადასწყვიტა აღადგინოს ყველის და ერბოს სახდელი ქარხნები, რომლებიც ამდენი ხანი არ მოქმედობდენ.

— **უპატრონო სახლები.** ტფ. აღმასკომმა დაადგინა გადარიცხოს აღმასკომის ქონებაში ყველა უპატრონო სახლები, რომლებიც იმყოფებიან განათლების განყოფილების განკარგულებაში.

— **მეფუტკრეობისათვის.** სასოფლო-სამეურნ. ბანკმა გადასწყვიტა გასცეს სესხათ 14 ათასი მანეთი საქართველოში მეფუტკრეობის საქმის განსავითარებლათ.

— **საბავშო სახლებისთვის.** საბავშო სახლებში მოთავსებულ ბავშვა საკვებათ განათ. სახ. კომისარიატმა გადასდო 1925 წლისათვის 96.864 მან.

— **თამბაქოს დამზადება.** წარმოკავშირმა დაურიგა თამბაქოს მრეწველებს ავანსათ 150.000 მანეთი წარმოკავშირისათვის თამბაქოს დასამზადებლათ.

— **სატყეო ტრესტი.** საქ. ცენტ. აღმ. საბჭომ დაამტკიცა საქ. სატყეო ტრესტის მომავალი საწარმოო ხარჯთაღრიცხვა. ამასთანავე ცაკ-ომ. საბჭომ დაავალა საქ. სახელმწ. გეგმის კომიტეტს გაატაროს ცხოვრებაში სატყეო საქმის გაუმჯობესების პროექტი.

— **მეაბრეშუმეთა საზოგადოება.** საქ. მეაბრეშუმეთა საზოგადოების დებულების პროექტი.

— **მანგლისის აგარაკი.** ტფ. აღმასკომმა დაადგინა გაასუფთაოს მანგლისის აგარაკი და იქედან გადაასახლოს კერძო მცხოვრებლები.

— **სტუდიის საჭიროებისათვის.** ტფილ. აღმასკომმა გადასცა სახელმწ. კონსერვატორიის სტუდიას დარბაზი რუსთაველის პროსპექტზე.

# ხელოვნება.

— **ახალი ოპერა.** დღეს ოპერის თეატრში წარმოდგენილ იქნება პირველათ მეიერბერის ოპერა „წინასწარმეტყველი“.

„იმედის დაღუპვა“. ოთხშაბათს საოპერო თეატრში გაიმართება ქართველ მსახიობთა კოლექტივის წარმოდგენა „იმედის დაღუპვა“.

# სამხედრო ტრიბუნალი

27 დეკემბერს ქართულ სამხედრო ტრიბუნალმა ამხ. ენუქიძის თავმჯდომარეობით განიხილა ქართულ ცხენოსან ლეგიონის წითელ არმიელის ყოფილ კურსანტის დავით დმიტრის-ძე ჯმუხაძის საქმე, რომელსაც მესამედ დეზერტირობა ბრალდება, რაც გათვალისწინებულია ს. ს. კ. 211 მ. სასამართლოს სხდომაზე გამოირკვა შემდეგი: ბრალდებული ჯმუხაძე პირველად გაქცეულა ნაწილიდან 1924 წ. 7 იანვარს და დაბრუნებული ყოფილა იძულებით იმავე იანვარს. მეორეჯერ გაქცეულა 4 თებერვალს და დაბრუნებულა 5 მარტს. ორჯერ გაქცევისათვის თანახმად სამხედრო ტრიბუნალის განაჩენისა ჯმუხაძეს მისჯილი ქონდა 6 თვით გამასწორებელ სახლში მოთავსება. გასულ წლის 13 მაისს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლომ აღნიშნული სასჯელი შეუცვალა პირობით ორი წლის საცდელი ვადის დანიშვნით. უკანასკნელათ ამ საქმეზე იქნა გავრცელებული ა-კ. ცაკის ამნისტია გასულ წლის 30 აპრილის თარიღით, რის გამო ბრალდებული ჯმუხაძე სრულიად განთავისუფლებული იქნა სასჯელისაგან.

ამის შემდეგ ბრალდებული ჯმუხაძე დაუბრუნდა თავის ნაწილს, მაგრამ 24 წლის 1 ივლისს მესამედ გაიქცა ნაწილიდან და 10 ივლისს ლეგიონის თავი მას აპატიმრებს დისციპლინარული წესით 10 დღით, რის უფლებაც მას არ ქონდა, ვინაიდან დეზერტირი უნდა დაისაჯოს სასამართლოს წესით და არა ადმინისტრატიული სასჯელით. სასამართლომ დამტკიცებულათ სცნო ჯმუხაძის მიმართ წაყენებული ბრალდება და მიუსაჯა მას ორი წლით გამასწორებელ სახლში მოთავსება და კონფისკაცია სრულიად მოხსნა ს. ს. კ. 28 მ. შეფარდებით. რაც შეეხება ლეგიონის თავს, რომელმაც დეზერტირობისათვის 10 დღით მიუსაჯა, რითაც გადააჭარბა თავისი ადმინისტრატიული უფლება, ის მიცემული იქნა პასუხისგებაში.

გნია.

# მეცნიერება და ტეხნიკა.

**რამდენ ენერგიას ხარჯავს ყოველ დღიურად ადამიანი ამა თუ იმ სამუშაოზე.**

ადამიანის და მისი შრომის თანამდებობის პირობების შესწავლამ, ერთგვარ აუცილებლობად წამოაყენა, რათა სისწორით გამოანგარიშებულიყო, თუ რამდენი ენერგია ეხარჯება ადამიანს ყოველდღიურად ამა თუ იმ მუშაობის დროს.

ორგანიზმის მიერ დახარჯული ენერგია შეიძლება გამოსახული იქნეს სითბოს საზომ ერთეულებში (კალორია) და ჩვენ მივიღებთ შემდეგ საინტერესო ციფრებს.

ნაკლებად მომუშავე და ფიზიკურად ჯანმრთელი ადამიანი ხარჯავს დღეში—2400 კალორას.

ბუღალტერები, კანტორის მოსამსახურენი და სხვა მოსამსახურეები გადამწერებიდან—2500 კ. ხელით მკერავი ქალი—2700 კალ. მემანქანე გადამწერი ქალი—2800 კალ. ლიტოგრაფიაზე მომუშავე—2600 კ. წიგნების მკინძავი 3000 კ. მანქანაზე მომუშავე მკერავი 3000 კ. მელითონე მუშა და მღებავი მალიარი 3,300 კ. მრეცხავი ქალი 3.4008 კ. ხარატი (სტალიარი) და ნაჭრობით მომუშავე მეჩექმე 3,6008 კ. მეეტლე—3,500 კ. მკელი—4000 კ. მჭედელი—4100 კ. მთიბავი—4,400 კ. ქვის მთლელი—4,800 კ. მიწის მხვნელი—5000 კ. მხერხავი - 5200 კ. ხის მჭრელი—6000 კ. აგურის გადამტანი—8600 კ. ხოლო ველოსიპედით მოგზაური—9000 კ.

ქარხნების პროფესიის მუშათა უმეტეს ნაწილს ეძლევათ სანოვაგის რაოდენობა, რომელიც იძლევა—4500—5000 კალორია სითბოს.

ამასთანავე საინტერესოა ის გარემოებაც, რომ ფიზიკური მომუშავეებს უმეტესად ისეთი სანოვაგე ესაჭიროებათ, რომელშიდაც ნახშირმანი უფრო მოიპოება. (ამიტომ არის, რომ ვეგეტერიანები—ე. ი. რომლებიც ხორცეულს არ სჭამენ შრომის დიდ ამტანათ ითვლებიან, ხოლო გონებრივ მომუშავეთა სანოვაგე კი საჭიროა მეტ ცილეულობას შეიცავდეს.

**ხუთი წუთის განმავლობაში დედამიწის ირგვლივ.**

1924 წ. 9 ნოემბერს ნიუიორკის (ამერიკაშია) ერთ-ერთ უძლიერეს რადიო სადგურმა მოახდინა სიგნალის გადაცემის მეტად საინტერესო ცდა. ერთ და იმავე დროს რადიო სადგურიდან გადაცემული იქნა ცნობა, როგორც აღმოსავლეთის მიმართულებით, ისე დასავლეთით. აღმოსავლეთისაკენ გადაცემული ცნობა სადგურმა მიიღო უკანვე 5 წამის შემდეგ, ხოლო დასავლეთის კი 6 წამის შემდეგ.

ამ ხნის განმავლობაში სადგურის მიერ გადაცემულმა ცნობებმა შემოუარეს ირგვლივ მთელ დედამიწის ბურთს.

ეს პირველი მაგალითია რადიოს ისტორიაში. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ რაც ლონდონში გახსნილ რადიო მიღწევათა გამოფენაზე მოახდინეს ასეთივე ცდა და გამოირკვა, რომ იქიდან გადაცემულმა ცნობამ დედამიწის გარშემო შემოვლას მოანდომა 1 წუთი და 200 წამი.

**გაუმჯობესებული ტიპის-კვამლის შთანთქმელი.**

ქარხანა ფაბრიკების დიდი საკვამური მილებიდან—ამომავალი კვამლის მოსპობის გარშემო დიდი მუშაობა სწარმოებდა.

საზოგადოთ ფაბრიკა-ქარხნების უმეტესი ნაწილი თითქმის მოთავსებულია ქალაქებში და ცხადია მათი მილებიდან ამოსული კვამლი აფუჭებს ქალაქის ჰაერს. დასავლეთ ევროპაში ამ მიზნით უკვე მოახერხეს ერთგვარი მანქანების დამზადება, რომლებსაც უწოდებენ „კვამლის შთანთქმელებს“.

ამ ჟამად საბჭოთა რუსეთშიდაც შესძლეს ასეთი მანქანების დამზადება, რომლებიც თავისი აგებულობით და ღირსებით თუ არ აღემატებიან, არ ჩამოუვარდებიან მაინც დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში დამზადებულ ხსენებულ მანქანებს.

# ჩვენი ფოსტა.

**ამხ. ქადუას.** თქვენი კორესპონდენცია „პარტიული მუშაობა“ ძლიერ დაგვიანებით მივიღეთ. არ გავა. მოგვაწოდეთ წერილები ხშირად.

**ამხ. ლეღვენელს.** კორესპონდენცია „პრიკმახერის“ შესახებ არ გავა. ის შეგიძლიათ გამოიყენოთ ადგილობრივ კედლის გაზეთისთვის.

**ამხ. ბოკოს.** წერილი „მადლობის ღირსია“ არ გავა.

**ამხ. ბ. პავლეს.** გვაცნობეთ თქვენი სახელი და გვარი, წინააღმდეგ შემთხვევაში კორესპონდენცია არ გავა.

**ამხ. იშხნელს.** თქვენი წერილი „მეორე ლეგ. მეცხრე ასეულის ცხოვრებიდან“ არ გავა. ასეთი ხასიათის შენიშვნა თქვენი ლეგ. კარგა ხანია დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში.

**ამხ. ჯლ ნკს.** „მომეცი პასუხი, ჩემო გაზეთო“ არ გავა. საქმე გამოარკვიეთ ადგილობრივად.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე

# ტფილისის გარნიზონის მასწავლებელთა კონფერენცია.

ოთხშაბათს, 7 იანვარს, საღამოს 5 საათზე, წითელ არმიის და ფლოტის სახლში (ნიკოლოზის ქ. № 51) გაიხსნება კ. წ. არმიის ტფილისის გარნიზონის მასწავლებელთა კონფერენცია.

კონფერენციაზე დასწრება სავალდებულოა გარნიზონის ნაწილების ყველა მასწავლებელთა და მათ თანაშემწეებისათვის.

**კონფერენციის დღის წესრიგი:**

1. საბჭოთა ხელისუფლების მიღწევები და საბჭოთა აღმშენებლობის მორიგი ამოცანები—მომხსენებელი ამხ. სუტირინი.
2. საბჭოთა აღმშენებლობის და წითელ არმიაში მასწავლებლობის სისტემის განათლების ამოც.—მომხს. ამხ. სნეკიროვი.
3. მასწავლებლობა და რ. კ. პ. მე 13 ე ყრილობა—მომხსენ. ამხ. სტელმახი.
4. წითელ არმიელთა მასწავლებელი, პროფმოძრაობა და კავშირი საერთოდ მასწავლებლობასთან განათლების მუშაკთა კავ-რის წარმომადგენელი.
5. წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ დეკრეტის ხუთი წლის თავი—ამხ. შაშინი.
6. მორიგი კითხვები.

კ. წ. არ. პოლიტ-მმართველობის აგიტპროპის უფროსის თანაშემწე ეგიკოვი.


# გამოვიდა

**ქართულ 1 და 2 დივიზიის პოლიტგანყოფილების გამოცემა № 7.**

**სახელმძღვანელო პოლიტსაათის მეთოდიკისათვის**

შესყიდვის პირობები და სხვა გვარ ცნობების მიღება შეიძლება პოლიტგანყოფილებაში.


# სამნეო დარგის საკითხები.

**(ამხ. „დ. ვ.“-ს წერილის ცოტაოდენ უსწორობაზე.)**

**ნივთების მოვლა.**

ჩვენს გაზეთ „წითელი არმიელი“-ს № 686-ში მოთავსებულ წერილის „რა უნდა იცოდეს თვითეულმა წითელ-არმიელმა“ ავტორმა, ამხ. „დ. ვ.“-მა დაუშვა თავის წერილში პატარა უსწორობა რაიც მინდა შევასწორო, რომ ამხ. ამხ. წითელ-არმიელები არ იყვნენ შესულნი შეცდომაში. როგორც ამხ. ტროცკიმ სთქვა მეტი ყურადღება წვრილმანსა, თავის დროზე დავამაგროდ შესუსტებული ღილი, თავის დროზე დავაკეროდ ტანსამოსს, ხშირად გავქონოდ ფეხსაცმელი და სხვა, ამაზე არ უნდა დაივიწყოს არც ერთმა პატიოსანმა და რიგიანმა წითელ-არმიელმა, მაგრამ, რომ უფრო ზედმიწევნით ვიცოდეთ, თუ როგორ უნდა დავიცვათ ესა თუ ის ნივთი უდროოდ გაფუჭებისაგან, საჭიროა შევისწავლოდ „წესები წითელ-არმიელისთვის მიცემულ ნივთების მოვლა გაფრთხილებაზე“, რომელიც თანდართულია რ. რ. ს. ს. 1921 წ. № 2336 ბრძანებასთან. ამ წესებში ყველაფერი ნათქვამია, მხოლოდ საჭიროა, რომ სამნეო ნაწილის გამგემ და სამნეო კომისიამ ყველა ეს თავის დროზე განუმარტოს ამხ. ამხ. წითელ-არმიელებს. უფრო უკეთესი იქნება, თუ ეს წესები კედლებზე იქნება გაკრული ყველა სკოლაში და გუნდში.

**ნივთები, რომელიც ეკუთვნის წითელ-არმიელს.**

რა ეკუთვნის წითელ-არმიელს მთელი თავისი სამსახურის დროს? ამაზე დაწვრილებითაა ნაჩვენები რ. რ. ს. ს. 1924 წ. 891 ბრძანების თანდართვაში. ეს საკითხიც უნდა განვმარტოთ წითელ-არმიელებს და თუ სამნეო ნაწილის გამგეს ჯერაც არ განუმარტავს, საჭიროა პირველ საერთო კრებაზე აუხსნას ყველას ეს ბრძანება. ამიერ-კავკასიისთვის სანივთო მომარაგებაზე განსაკუთრებული ვადებია დაწესებული, უმთავრესად 14 საგანზე: მაზარას და ზამთრის ჩაჩქანს (შლემი) აძლევენ 2 წლით, საბანი, ნალი ბალიშის ქვედა პირი-3 წლით, ბალიშის ზედა პირი და ჩარსაკი ხუთ-ხუთი ცალი- 2 წლით, სამი ცალი პერანგი და 4 ცალი პერანგის ამხანაგი—1 წლით. ფეხსაცმელი (ბათინკები) 3 წყვილი-1 წელიწადში, ერთი ხელი ზამთრის თბილი ტანისამოსი და ორი ხელი ზაფხულისა-ერთს წელიწადში, სხვა წვრილი ნივთებს აღარ ჩამოვთვლი, ისინი ნაჩვენებია რ. რ. ს. ს. 1924 წ. №891 ბრძანებაში.

**ღებულობს თუ არა წითელ-არმიელი ყველა კუთვნილ ნივთებს?**

ამ ჟამად წითელ არმიელი ვერ ღებულობს სავსებით ყველა იმ ნივთებს, რაც მას ეკუთვნის, მაგრამ 3/4-ს კუთვნილისას მაინც იღებს. რატომ ულ არ ეძლევა წითელ-არმიელს რაც ეკუთვნის მას? მიზეზი ადვილად გასაგებია. სამოქალაქო ომის დროს საბჭოთა რესპუბლიკების მეურნეობა ძალიან დაზარალდა, მხოლოდ ახლა და მუშათა და გლეხთა ხელისუფლება ღებულობს ყველა ზომებს, რომ ეს დარგი აღადგინოს. წითელი ჯარის შესანახად დიდი და აუტანელ ხარჯების შეწერა მშრომელთათვის შეუძლებელია, მაშასადამე, დროებით ლაშქარი უნდა შეურიგდეს ამ ზოგიერთ დანაკლისს და გაბრთხილებით იხმაროს მიღებული ნივთები. როდესაც საერთოთ გამაგრდება ჩვენი მეურნეობა, ამუშავდებიან ყველა ფაბრიკა-ქარხნები. გამოსწორდება სოფლის მეურნეობაც, მაშინ უკეთეს პირობებში იქნება წითელ-არმიელიც, ვიდრე კი ჩვენ ხელი უნდა შევუწყოდ საერთო აღმშენებლობას; გაბრთხილებით, მზრუნველობით და რიგიანად მოვეპყროდ როგორც იმ ნივთებს, რომელიც საერთოთ ერთეულშია, აგრეთვე იმასაც, რაიც წითელ-არმიელის ხელშია.

(გაგრძელება იქნება)

ს. შაკუნი.



სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.

ტირაჟი 150.